

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო  
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს

გადაწყვეტილება №8

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში „ემერიტუსის“ წოდების მინიჭების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის და საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 28-ე მუხლის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ (ოქმი N 9 2016 წ. 21 სექტემბერი) გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს „სსიპ- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ემერიტუსის წოდების მინიჭების წესი და პირობები“ თანახმად დანართისა N1.
2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი

საბჭოს სპიკერი



ე. მაჩაიძე

„საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური წოდების - „ემერიტუსის მინიჭების წესი და პირობები“

1. აკადემიურ საბჭოს უფლება აქვს 65 წელს მიღწეულ პროფესორს მიანიჭოს ემერიტუსის წოდება. თუ პირი დანიშნულია აკადემიურ ან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, მას ემერიტუსის წოდება მიენიჭება აკადემიურ/ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლის შემდეგ. ამ ვადის გასვლამდე ემერიტუსის წოდების მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის თანხმობით, რაც იწვევს დაკავებული აკადემიური/ადმინისტრაციული თანამდებობიდან გათავისუფლებას.
2. ემერიტუსის წოდების მქონე პირს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აკადემიური ან/და ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების გარეშე.
3. ემერიტუსის წოდების მქონე პირს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო ან კვლევით დაწესებულებაში აკადემიური, ადმინისტრაციული ან სხვა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული თანამდებობის დაკავების შემთხვევაში ჩამოერთმევა ემერიტუსის წოდება და შეუწყდება ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურება.
4. ემერიტუსის წოდება შეიძლება მიენიჭოს განსაკუთრებული დამსახურებისათვის პირს, რომელიც უნივერსიტეტში ეწევა ნაყოფიერ სასწავლო-სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას უნივერსიტეტის რექტორის, ფაკულტეტის საბჭოს ან/და აკადემიური საბჭოს წევრის წარდგინებით;
5. ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო კენჭისყრით. საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ორი მესამედი მაინც, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით;
6. უნივერსიტეტის პროფესორისათვის ემერიტუსის წოდების მინიჭების საკითხს აკადემიური საბჭო განიხილავს იმ შემთხვევაში თუ:  
- არის 65 წლის ან მეტი ასაკის;



-კანდიდატს ემერიტუსის სტატუსის მინიჭების მომენტისათვის უჭირავს შესაბამისი აკადემიური თანამდებობა;

-აქვს უმაღლეს სასპორტო სასწავლებელში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის, როგორც წესი, არანაკლებ 25 წლიანი გამოცდილება;

7. პირისათვის ემერიტუსის წოდების მინიჭებისათვის აუცილებელია მისი თანხმობა;

8. უნივერსიტეტის ემერიტუსის წოდების მქონე პირს უნივერსიტეტის მიერ მიეცემა ყოველთვიური ანაზღაურება.

9. ემერიტუსის წოდების მქონე პირისათვის ანაზღაურების მიცემის საკითხს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წყვეტს აკადემიური საბჭო შემდეგი წესით:

ა) ემერიტუსის წოდების მინიჭების მომენტისათვის აკადემიური თანამდებობის შესაბამისი სარგოს არანაკლებ 65% და არაუმეტეს 75%-ისა.

ბ) თუ პირი იმავდროულად არის ან იყო უმაღლეს სასპორტო სასწავლებელში აკადემიური საბჭოს ან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, დეკანი ან კათედრის გამგე, აკადემიური თანამდებობის სარგოს არანაკლებ 75% და არაუმეტეს 85 %-ისა.

გ) თუ პირი იმავდროულად არის ან იყო უმაღლეს სასპორტო სასწავლებელში რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), ხარისხის უზრუნველ-ყოფის სამსახურის უფროსი, აკადემიური თანამდებობის სარგოს 100%.

10. ემერიტუსის წოდების მქონე პირის ანაზღაურების წესი ან/და ემერიტუსის წოდების მქონე პირის ანაზღაურების ოდენობა შესაძლოა გადაიხედოს/შეიცვალოს უნივერსიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტის მიხედვით;

11. ემერიტუსის წოდების მქონე პირს იმავდროულად არ შეიძლება ეკავოს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ადმინისტრაციული ან აკადემიური თანამდებობა;

12. ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისთანავე პირი თავისუფლდება დაკავებული ადმინისტრაციული ან აკადემიური თანამდებობიდან;

13. პირს, ვისაც მიენიჭება ემერიტუსის წოდება, ეძლევა ანაზღაურება პროფესორის აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილ სარგოს ოდენობა (რაც დასტურდება ყოველწლიურად კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ცნობით პენსიის ოდენობის შესახებ).

14. ემერიტუსის წოდების მინიჭების დროს აკადემიური საბჭოს სხდომაზე პირს გადაეცემა უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორის დიპლომი:

15. ემერიტუსის წოდების მქონე პირის სახელი შეტანილი ქნება უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორის წიგნში.